ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ანგარიშს 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი 10 ფურცელი.

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი

/ზაქარია კოლელიშვილი/

ქალაქ თბილისის საკრებულოს [illegible]
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 11 ფურცელი

N: 10/17618 31.10.16

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ზაქარია კოლელიშვილის

2016 წლის ანგარიში

მოგესალმებით!

ეს ჩემი, როგორც მაჟორიტარი დეპუტატის მუშაობის ბოლო წელია. ბევრი დაპირება გავეცით,ხალხი ბევრის მოლოდინში იყო. ერთი წუთითაც არ დამვიწყებია ჩემი დაპირებები, ის პრობლემები, რომელზეც პირადი შეხვედრების დროს მელაპარაკებოდით. ზოგი დაპირება შევასრულეთ, ზოგი კი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ვერ შესრულდა. მაგრამ , ვეცდებით რომ წელს რაც შეიძლება ბევრი გავაკეთოთ იმისათვის რომ მაქსიმალურად ამოვწუროთ დაპირებების ნუსხა.

სანზონაში მოსახლეობის რაოდენობა 35 000 ადამიანია და სრულიად გათვიცნობიერებული მქონდა თუ რა საქმეს მოვეჭიდე. მაგრამ თქვენთან ყოველდღიურმა ურთიერთობამ დამანახა უფრო მეტი და უფრო რთული პრობლემები, რის წინაშეც აღმოვჩნით ერთად. ყოველი თვის განმავლობაში, დაახლოებით 500მდე ადამიანს ვხვდებით და ყოველდღიურად უფრო და უფრო იკვეთება თუ რა წარმოადგენს მოსახლეობის ძირითად სატკივარს და საწუხარს.

ნომერ პირველი პრობლემაა მუნიციპალურ ქონებაში შეჭრილი ადამიანები, რომლებიც უბინაობას, უმუშევრობას და უსახსრობას ერთდროულად განიცდიან. მე მაინც ვთვლი, რომ მერიამ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს იაფი სოციალური ბინების მშენებლობის საკითხს, რომელსაც მოსახლეობას კიარ დაუკანონებს, არამედ მოსახლეობას გადასცემს დროებით მფლობელობაში, მაგრამ ბინა დარჩება ისევ მუნიციპალურ ბალანსზე, და სახელმწიფო იზრუნებს ამ მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე. ამით ჩვენ უამრავ თანხას დავზოგავთ ბიუჯეტიდან და სხვა მიმართულებით ვასარგებლებთ ქალაქს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კანონი გადახედვას საჭიროებს, რათა შეიცვალოს და დაიხვეწოს მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

დაახლოებით 360 მდე მაცხოვრებელს, ნაძალადევის რაიონის გამგეობა ყოველთვიურად უხდის ბინის ქირას. აქედან 65 ოჯახი საზნონიდან. მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისიწნებული იქნება მეტი თანხა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ქირის უზრვუნველსაყოფად.

სასადილოს კვებით მოსარგებლეთა რაოდენობა შეადგენს 6 700 ადამიანს.

მედიკამენტები დაუფინანსდა 5 500 ბენეფიციარს.

ოპერაცია - 2000-მდე ბენეფიციარს.

გაუმჯობესებულია სამედიცინო დაფინანსება, მაგრამ მექანიზმი უფრო დახვეწას მოითხოვს.

ისევ ძალაში რჩება ინფრასტრუქტურული პრობლემები, სკვერებისა და სტადიონების მოწყობა-მოწესრიგება, უმუშევრობა, სოციალური პირობების გაუმჯობესება. განათლების დაფინანსება ხელმოკლე ოჯახებისთვის, უფასო სასადილოების მენეჯმენტისა და მომსახურეობის გაუმჯობესება. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება, ბაგა ბაღებში ადგილების უკმარისობა, თუმცა, სანზონაში ბაღები განახლდა და წელსაც სამი ბაღის შიდა რემონტი იგეგმება.

აუცილებელია მიწისძვრით დაზარალებულთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მექანიზმის მოძებნა და დახვეწა. მიწებისა და ბინების პრივატიზების საკითხის გამარტივება თუ ეს არ ეწინააღმდეგება ქალაქის განვითარების გეგმას. ელექტრო ენერგიისა და გაზის დავალიანებების ჩამოწერა და რესტრუქტურიზაცია შედარებით გაუმჯობესებულია. 100-მდე ადამიანს ჩამოეწერა ელექტრო ენერგიის და გაზის დავალიანება.

ასე რომ, პრობლემათა ჩამონათვალი უდაოდ დიდია და კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება.

ბიუროში შემოსული თითოეული წერილი განიხილება ბიუროსთან ერთად სიმწვავეისა და პრობლემების გადაუდებლობის მიხედვით. რიგი პრობლემები გრძელვადიანია და სათანადო შესწავლასა და ქალაქის მთავრობის ჩარევას საჭიროებს. ზოგიერთი პრობლემა კი ადგილზევე გვარდება უსწრაფესად, მაგალითად ადამიანების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.

ქალაქ თბილისის მერიის დაფინანსებით ჩვენ მოვახერხეთ მარიამ კასტიუნისთვის ოპერაციის ჩატარება გერმანიაში, დანარჩენ მოქალაქეებს კი დაუფინანსდათ ოპერაციები საქართველოში.

სანზონის სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს რამდენჯერმე გადავეცით საკვები პროდუქტები შპს „ფრესკო"-ს დახმარებით

ფონდ „გვირილა პლიუსი"-ს დახმარებით ტანსაცმელი და საკვები პროდუქტები გადავეცით არასრულწლოვან მსჯავრდებულებს.

უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია სამედიცინო დაფინანსების კუთხით. ბიუროს არსებობის პირველი დღიდან დღემდე დაახლოებით 3 500 კაცს დაუფინანსდა მედიკამენტები, სამედიცინო გამოკვლევები და ოპერაციები. შშმ პირებს გადავეცით ეტლები.

ვაპირებთ კიდევ ორი ადამიანისთვის ეტლის გადაცემას.

სანზონაში მუშაობდა ელმავალმშენებელი, ჩარხმშენებელი, აბრეშუმის, სამკერვალო და ძმრის ქარხნები. ათასობით ადამიანი დარჩა უმუშევარი და თავისდაუნებურად შემოსავლის გარეშე. ზოგიერთ მოქალაქეს ხელში უჭირავს ბინის ორდერი და არ აქვს საცხოვრებელი. ხშირად ნახავთ საერთო საცხოვრებლის ერთოთახიან ბინაში სამი თაობის წარმომადგენელს უმძიმესი პირობებით. განსაკუთრებით მძიმეა ავარიულ სახლებში მყოფი მოსახლეობის მდგომარეობა,

სანზონის მუნიციპალიტეტის საზღვრებში განთავსებული კორპუსები ავარიულ მდგომარეობაშია და საჭიროებს რეაბილიტაციას. აგრეთვე ავარიულია შიდა სავალი გზები და მიწისქვეშა კომუნიკაციები.

ერთ წელზე მეტია ვიბრძვი მოქალაქეებისთვის ბინის დაკანონებაზე, რომელთაც დასამტკიცებელი აქვთ ფართი და აარის მერიის კომპეტენცია. თუმცა, ამ საქმეზე ქალაქ თბილისის მერია ძალიან პასიურობს. მოქალაქეები ეთერ რთველიაშვილი და შორენა ლომიძე.

აგრეთვე ძალიან ბევრია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული.

ყველაზე სავალალო მდგომარეობა ფიქსირდება შემდეგ ქუჩებზე:

1. გვაზაურის ხევი

გვაზაურის ხევში დასახლებულია დაახლოებით 40 ოჯახი, ამ ქუჩაზე არ არის მიწისქვეშა კომუნიკაციები, გზის საფარი, სახეზეა ნაწილობრივი გაზიფიცირება, ნაწილობრივ მოგვარებულია დენის პრობლემა, სახლების 80% მიწისძვრით დაზიანებული და ავარიულია. მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა.

მომავალი წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია გვაზაურის ხევის ფრაგმენტული შეკთება.

2. ხევისუბნის ქუჩა

გვაზაურის ხევში დასახლებულია დაახლოებით 40 ოჯახი. ამ ქუჩაზე არ არის მიწისქვეშა კომუნიკაციები, გზის საფარი, სახლების 80% მიწისძვრით დაზიანებული და ავარიულია. მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა.

3. რატევანის ქუჩა

რატევანის I შესასვლელი #4 - ავარიული სახლი - შესაძლებელია ინვესტირება

რატევანის შესასვლელი #4, ბინა 4 – ავარიული სახლი , #16 - ავარიუალი სახლი

რატევანის ქუჩა #51; #18–ის მიმდარე დასახლება – გზის საფარის პრობლემა

(არარსებობა)

5. გოგაშენის ქუჩა

გოგაშენის ქუჩა #25; #28 – ავარიული სახლები (მიწისძვრა)

გოგაშენის შესახვევი #17ა – ავარიული სახლი (მიწისძვრა)

6. ქვიშხეთის ქუჩა

ქვიშხეთის ქ. #53; #49 – ავარიული სახლები (მიწისძვრა)

7. ზვარეთის ქუჩა

ზვარეთის ქუჩა #23; #47 – ავარიული სახლები (მიწისძვრა)

მთლიანად ზვარეთის ქუჩაზე სანიაღვრე არხები, მიწისქვეშა კომუნიკაციები, სახურავები შესაკეთებელია.

8. ნაგომარის ქუჩა

ნაგომარის ქუჩა #47; #49 – ავარიული კორპუსი (არის ერთი შენობა, საცხოვრებლად საშიშია, საჭიროებს ახალ ნაგებობას)

9. ვაზიანის ქუჩა

ვაზიანის ქუჩა #1 – მიწისძვრით დაზიანებული

ვაზიანის ქუჩა #2 – ავარიული

10. გუდამაყრის ქუჩა

გუდამაყრის ქუჩა #2; #2ა; #3 – აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ სოციალურად დაუცველები და დევნილები.ზოგ შემთხვევაში, მაგ: ყოფილი ნევროლოგიური ინსტიტუტის შენობა გადაცემულია კერძო საკუთრებაში ანუ დაკმაყოფილებულები არიან ფართით. ყოფილი კარდიოლოგიური ინსტიტუტის შენობაში შეჭრილები არიან სოციალურად დაუცველები და დევნილები. გუდამაყრის #3ა-ში, ყოფილი მე-15 სკოლის შენობაში, შეჭრილები არიან სოც. დაუცველები და დევნილები.

გუდამაყრის ქუჩაზე მოსაწესრიგებელია მიწისქვეშა კომუნიკაციები, გზის საფარი. აღნიშნულ მისამართებზე, ზოგ შემთხვევაში არ არის ელექტრო ენერგია და კანალიზაცია.

გუდამაყრის ქუჩა #30 – გამოსაცვლელია სახურავი

12. ჩარგლის ქუჩა

ჩარგლის ქუჩა #47-67 ში გამოსაცვლელია სახურავი.

13. ფეიქრების ქუჩა

ფეიქრების ქ. N14 ა- გასატანია ნაგავი, შესაცვლელია კომუნიკაციები და გზის საფარი. შეზღუდულია მოძრაობა

14. ბჟოლეთის ქუჩა

ბჟოლეთის ქ.#1; #39 – ავარიული სახლი, დაზიანებული სასურავი

15. კნოლევის მე-2 შესახვევი #17 – მიწისძვრით დაზიანებული

16. ედისის ქუჩა #27; #29- ავარიული სახლი

17. დვრილის ქუჩა # 14 – ავარიული სახლი

18. არბოს ქუჩა #39 – ავარიული სახლი

19. იფნევის ქუჩა #1-3 შიდა გზის საფარი

20. ჭოპორტის შესახვევი #8 – ავარიული სახლი

21. გვაზაურის ქუჩა II ჩიხი #3; #5 – ავარიული სახლები

22. ქსნის ქ # 22 - ავარიული სახლი

23. გურამიშვილის გამზ. #70 - ავარიული სახლი

24. არბოს ქ. #2- ავარიული სახლი

25. ფეიქრების ქუჩა #8-#14ა – შესაკეთებელია სახურავი და გადასაცემია დევნილებისათვის. გასაყვანია დენი და დასაგებია ასფალტი.

გამოვდივარ ინიციატივით, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას თანხები შემდეგი პრობლემების მოსაგვარებლად.

1. კაკაბაძის ქუჩაზე N1დან N7ის ჩათვლის- მოსაწყობია სკვერი.
2. გურამიშვილის გამზ. N39 და N41-ს შორის მოსაწყობია სკვერი
3. გურამიშვილის გამზ N14 ა 141-ე სკოლის წინ სკვერი და სტადიონი
4. გვაზაურის მეორე შესახვევი კოპრპუსი 1, მოსაწყობია სკვერი,სტადიონი,ფანჩატური,სკამები.
5. ზიგზაგის ქუჩა, პოლიციის უკან - სკვერი
6. სანზონის დასახლება მე9 კორპუსი -სკვერი
7. სანზონის დასახლება მე- 12 კორპუსი -ფანჩატური
8. სანზონის დასახლება მე-16 კორპუსი -სკვერი
9. სანზონის დასახლება მე-18 კორპუსი -სტადიონი
10. ფეიქრების ქ. N 2 - ბავშების სათამაშო მოედანი.
11. ვეკუას ქუჩა (ყოფილი შენგელაია) - მოსაწესრიგებელია კომუნიკაციები და გზის საფარი.

შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სოციალური საწარმო „არბო"-ს ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოები ყველა სკვერში.

ფეიქრების ქ. N14 ა- ში ნაგავი, მოსაწესრიგებელია მიწისქვეშა კომუნიკაციები და გზის საფარი. ჩვენი მოსვლის პირველივე დღიდან დაპირებას ვიძლევით რომ დავეხმარებით პრობლემის მოგვარებაში თუმცა აქამდე ვერაფერი მხოერხდა.

საჭიროა ბიუჯეტის გაზრდა სოციალური პრობლემებისთვის, ავარიული სახლებისთვის ან ახალი ბინამთშენებლობის დაწყებისთვის.